№716 2015 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ (ს/კ: №202886788), მის ბალანსზე რიცხული „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზის შემდგომი ფუნქციონირებისთვის, მიმდინარე რემონტის ჩასატარებლად საჭირო საქონლის, საპოხ-საცხები და დამხმარე მასალების, სათადარიგო ნაწილებისა და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, კომპანიის საკუთარი სახსრებიდან, სავარაუდო ღირებულებით - 300 000 ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**